

ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის აკადემიური პერსონალისა და სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასების წესი და პროცედურები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის აკადემიური პერსონალისა და სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასების წესი და პროცედურები (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს აკადემიური პერსონალისა და სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებით საქმიანობაში ჩართული სხვა პერსონალის (შემდგომში - პერსონალის) მიერ შესრულებული სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი სამუშაოს შეფასების პირობებს, კრიტერიუმებსა და პროცედურებს, არეგულირებს შეფასების პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ საკითხებს.

მუხლი 2. შეფასების მიზანი

შეფასების მიზანია სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა, ხარისხის ამაღლება და ამ მიზნით სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის განხორციელების მონიტორინგი.

აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენა, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენა და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა.

წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის გაუმჯობესებისა და სრულყოფის მიზნით.

მუხლი 3. შეფასების წესი და პროცედურები

სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასება ხორციელდება სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასების წესის შესაბამისად, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასების კრიტერიუმებისა (დანართი 2) და შეფასების ფორმის (დანართი 1) მიხედვით. სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასებას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წელიწადში ერთხელ. შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები/აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი ვალდებულია უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისათვის შესაბამისი ფორმით გამოთხოვნილი (დანართი 1) ინფორმაციის მიწოდება, ინფორმაციის გამოთხოვნიდან არაუგვიანეს 20 დღის ვადაში. შეფასების პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს როგორც შიდა სტრუქტურულ ერთეულებთან და აკადემიურ/სამეცნიერო პერსონალთან, აგრეთვე, საჭიროებიდან გამომდინარე, მოწვეულ სპეციალისტებთან.

შეფასების შედეგად მიღებული შედეგები დაჯამდება და გამოიყენება სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ანგარიშისთვის. შეფასების შედეგების ანგარიშსა და შემუშავებულ წინადადებებს/რეკომენდაციებს ისმენს თსას-ის სამეცნიერო საბჭო.

სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის სისტემური აღნუსხვის მიზნით, მიღებული შედეგები ინახება სპეციალურ ელექტრონულ ბაზაში, რომლის წარმოებაზე და მასში ასახული ინფორმაციის დაცვაზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მუხლი 4. სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასებაში მონაწილე მხარეები

სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასების პროცესს კოორდინაციას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. შეფასებას ექვემდებარება ყველა ის სტრუქტურული ერთეული და პერსონალი, რომელიც ჩართულია და ახორციელებს დაწესებულების მიერ დაფინანსებულ ან/და დაწესებულების ფარგლებში განხორციელებულ სამეცნიერო/კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. მათ შორის, კათედრები, გამომცემლობა, სახელოსნოები, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი, დოქტორანტები და მოწვეული მკვლევარები.

მუხლი 5. დასკვნითი დებულება

სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასება არის თანამონაწილეობითი პროცესი. პროცესის შეუფერხებლად და ეფექტურად განხორციელების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს სამეცნიერო/კვლევით/შემოქმედებით საქმიანობაში ჩართული პერსონალის ინფორმირებას შეფასების პროცესთან დაკავშირებით, რისთვისაც იყენებს როგორც წერილობით ცნობებს, ისე საკონსულტაციო შეხვედრების ფორმატს.